მრგვალი მაგიდა

« სამოქმედო გეგმა და ანგარიში აღსრულების ორსაფეხურიან სისტემაში »

სტრასბურგი, 2014 წლის 13-14 ოქტომბერი

შემაჯამებელი დოკუმენტი

2014 წლის 13-14 ოქტომბერს, *სტრასბურგში,* ევროპის საბჭოს (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების დეპარტამენტი) ორგანიზებით, გაიმართა მრგვალი მაგიდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების სამოქმედო გეგმისა და აღსრულების ანგარიშის შესახებ.

სამოქმედო გეგმა / ანგარიში წარმოადგენს აღსრულებაზე ზედამხედველობის ახალი ორსაფეხურიანი პროცედურის ერთ-ერთ ფუნდამენტს, რომელიც 2011 წლის იანვრიდან ამოქმედდა. ისინი სუბსიდიარულობის პრინციპის კონკრეტულ გამოხატულებად არის მიჩნეული. აღნიშნული პრინციპის თანახმად, გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე უპირველესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახელმწიფოებს, რომლებიც, მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობით, შეარჩევენ გადაწყვეტილებათა იმპლემენტაციის ღონისძიებებს.

ზედამხედველობის ახალი პროცედურის ამოქმედებიდან სამი წლის შემდეგ, აღნიშნული მრგვალი მაგიდის მიზანი იყო პრაქტიკისა და წინსვლის შეჯამება, აგრეთვე სამოქმედო გეგმებისა და ანგარიშების მომზადების პროცესში აღმოჩენილ სირთულეთა გაანალიზება. აღნიშნული შესაძლებლობა ასევე გამოყენებულ იქნა გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან მიმართებით მათი სრული პოტენციალის შესაფასებლად.

სამოქმედო გეგმები და ანგარიშები: დამატებითი ღირებულება აღსრულების პროცესისათვის

მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ახალი სამუშაო მეთოდების ამოქმედების შემდეგ, თითოეული გასული წლის განმავლობაში, მინისტრთა კომიტეტმა შეძლო დაეხურა ბევრად მეტი საქმე, ვიდრე წარსულში, და რომ ახალ საქმეთა უმრავლესობისათვის აღსრულების პროცესი უფრო სწრაფი გახდა.

მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს სამოქმედო გეგმებისა და ანგარიშების დიდ მნიშვნელობას აღსრულების პროცესის გაზრდილ გამჭირვალობასა და დინამიზმთან მიმართებით. ამ მხრივ აღინიშნა, რომ არაერთ სახელმწიფოში, ხელისუფლებათა პროაქტიურობა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ღონისძიებათა იდენტიფიცირების, მათი განხორციელებისა და მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებებზე რეაგირების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

ზოგიერთმა მინაწილემ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი სამოქმედო გეგმების მომზადების პროცესში შესაბამისი აქტორების, მათ შორის, ეროვნული პარლამენტებისა და სამოქალაქო საზოგადოების, ჩართვის მნიშვნელობას,

ამასთანავე, მონაწილეთა მიერ მრგვალი მაგიდის მიმდინარეობისას წარმოდგენილმა მაგალითებმა ცხადყო სამოქმედო გეგმების მნიშვნელოვანი პოტენციალი ეფექტური თანამშრომლობის განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებით, კომპლექსური / სტრუქტურული პრობლემების გადასაჭრელად, რომელთა აღმოფხვრა სახელმწიფოთა ვალდებულებაა.

მონაწილეებმა ინტერესით აღნიშნეს საკვანძო თემების გარშემო სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონსტრუქციული დებატები და ის, რომ აღნიშნული დებატების მეშვეობით, ეროვნულ დონეზე, სამოქმედო გეგმის ირგვლივ, გამოიკვეთა ყველაზე მნიშვნელოვანი აქტორები.

მონაწილეები შეთანხმდნენ იმაზეც, რომ აღნიშნული მაგალითები კარგ პრაქტიკას წარმოადგენს, რომელიც, თავის მხრივ, სასარგებლო შთაგონების წყაროა.

სამოქმედო გეგმები და ანგარიშები – გაუმჯობესების გზები

ზოგიერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ საჭიროა საწყის ეტაპზე არსებობდეს სიგნალები იმისა, რომ მთავრობის მიერ შეთავაზებული სამოქმედო გეგმა შეესაბამება მინისტრთა კომიტეტის მოლოდინებს. სხვა მონაწილეებმა, სუბსიდიარულობის პრინციპზე დაყრდნობით, შენიშნეს, რომ ხსენებული წინასწარი დიალოგი მხოლოდ განსაკუთრებულ სიტუაციებში უნდა შედგეს, რომლებიც ყველაზე კომპლექსურ პრობლემებს ეხება.

მონაწილეებმა აგრეთვე ხაზი გაუსვეს სამოქმედო გეგმის / ანგარიშის სიმარტივისა და კითხვადობის მნიშვნელობას, განსაკუთრებით, შესაბამისი სამართლებრივი სისტემის გარეთ მყოფ პირთათვის, რათა მარტივად გასაგები იყოს ის პრობლემები, რომლებიც ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით გამოვლინდა და შესაბამისად, უკეთესად იქნეს გაგებული იმ ღონისძიებათა ადეკვატურობა, რომლებიც მთავრობამ მიიღო ან აპირებს მიიღოს; აგრეთვე ის თუ რატომ სთავაზობს მთავრობა აღნიშნული ღონისძიებების გატარებას კონკრეტულ ვადებში. ამასთან დაკავშირებით, აღინიშნა, რომ ზემოხსენებული სიმარტივე და კითხვადობა ასევე დამოკიდებულია ეროვნულ ენაზე მომზადებული დოკუმენტების ხარისხიან თარგმანზე, ევროპის საბჭოს ორი ოფიციალური ენიდან ერთ-ერთზე. გარდა ამისა, აღნიშნულ ინფორმაციებზე წვდომის გასამარტივებლად, მონაწილეებმა ასევე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა ეროვნულ ენაზე სამოქმედო გეგმებისა და ანგარიშების და მათთან დაკავშირებული მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებების ფართოდ გავრცელების უზრუნველყოფა. მონაწილეები მიესალმნენ წარმოდგენილ ინიციატივებს, რომლებიც ითვალისწინებს ეროვნულ ენაზე სამოქმედო გეგმებისა და ანგარიშების თარგმნასა და მათ განთავსებას ადვილად ხელმისაწვდომ ვებგვერდებზე, მათ შორის, იმ უწყების ვებგვერდზეც, რომელსაც პირდაპირ ეხება აღსრულების ღონისძიებები.

ყურადღება ასევე გამახვილდა სამოქმედო გეგმების / ანგარიშების სათანადოდ მომზადების უზრუნველყოფის ღონისძიებებზე. აღნიშნულთან მიმართებით მოყვანილ მაგალითებს შორის ფიგურირებს « შაბლონის » მომზადება, დოკუმენტის შესაბამისი სპეციფიკური სტრუქტურის შექმნა და საკონტაქტო პირების დანიშვნა.

ამავე კონტექსტში, აქცენტი გაკეთდა სამოქმედო გეგმებისა და ანგარიშების მომზადებაში მონაწილე პირთა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასა და აღსრულების სტანდარტებთან მიმართებით რეგულარული გადამზადების მნიშვნელობაზე.

ზოგიერთმა მონაწილემ ისაუბრა აღსრულების ღონისძიებათა წინასწარი განრიგის წარმოდგენის სირთულეებზე - მაგალითად, როდესაც საქმე ეხება საკანონმდებლო ღონისძიებათა გატარებას. თუმცა, იქვე აღინიშნა, რომ აღნიშნული განრიგი, მიუხედავად იმისა, რომ ის დროებითია და შეიძლება შეიცვალოს, აადვილებს პროცესს როგორც ეროვნულ, ისე ევროპულ დონეებზე. ნებისმიერ შემთხვევაში, მონაწილეებმა აღიარეს, რომ მნიშვნელოვანია, სამოქმედო გეგმების რეგულარული განახლების მეშვეობით, უზრუნველყოფილ იქნეს აუცილებელი გამჭირვალობა, რათა გამოჩნდეს მთავრობის აქტიურობა და თავიდან იქნეს აცილებული, რომ ინფორმაციის არარსებობამ არ გააჩინოს უსარგებლო კითხვები.

მონაწილეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ეროვნულ და ევროპულ დონეებზე, სამოქმედო გეგმების / ანგარიშების ხარისხი და გამჭირვალობა კიდევ უფრო უნდა გაუმჯობესდეს. ამ თვალსაზრისით, მონაწილეთა დიდმა რაოდენობამ ხაზი გაუსვა იმის აუცილებლობას, რომ სახელმწიფოებმა ეროვნულ დონეზე უნდა გამოყონ საკმარისი რესურსები (ფართო გაგებით), რათა შექმნან აღსრულების პროცესის ყველა მონაწილის მობილიზების რეალური შესაძლებლობა, უზრუნველყონ მათი კოორდინაცია და დროულად შეიმუშაონ სამოქმედო გეგმები / ანგარიშები, რომელთა შინაარსი უნდა იყოს ნათელი, მცირე მოცულობის, დამაჯერებელი და თუკი ამას გარემოებები მოითხოვს, ევოლუციურიც. ყველა შეთანხმდა იმაზე, რომ უპირველესი პასუხისმგებლობა აღსრულებაზე უნდა არსებობდეს იქ, სადაც მინიჭებულია აღსრულების კომპეტენცია.

და ბოლოს, ხაზგასმით აღინიშნა, რომ სამოქმედო გეგმის მომზადებისას, სასარგებლოდ შეიძლება იქნეს გამოყენებული უკვე არსებული დოკუმენტები, რომლებიც ეროვნული აქტორების მიერ იქნა მომზადებული მსგავს საკითხებზე, სხვა უწყებებისათვის / საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის (მაგალითად, გაერო); აუცილებელია არა ყველაფრის თავიდან გამოგონება, არამედ შესაბამისი ურთიერთქმედების შედეგებით სარგებლობა.

მონაწილეებმა ასევე დიდი ინტერესით აღნიშნეს აღსრულების დეპარტამენტის ინიციატივა სახელმძღვანელოს მომზადების შესახებ, რომელიც შეეხება სამოქმედო გეგმებისა და ანგარიშების შედგენას. მათ აგრეთე აღნიშნეს, რომ სასურველია *ტირანას* მრგვალი მაგიდის (2011 წლის 15-16 დეკემბერი) ფარგლებში, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა სწრაფი აღსრულების ეროვნული მექანიზმების შესახებ მომზადებული კრებულის განახლება.

სამოქმედო გეგმები და ანგარიშები: მომავლის პერსპექტივები

ევროპული სასამართლოს მიერ აღსრულების საკითხებისადმი გამოჩენილი მზარდი ინტერესის კონტექსტში, სამოქმედო გეგმები და მათი განხორციელება, აგრეთვე აღსრულების ანგარიშები, სასამართლოსთვის ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო და მასთან უფრო ფართო ურთიერთქმედების მამოძრავებელიც შეიძლება გახდეს.

დისკუსია ასევე შეეხო ეროვნული პარლამენტების უფრო ფართოდ ჩართვას სამოქმედო გეგმების მომზადებასა და განხორციელებაში, პარლამენტისთვის განკუთვნილ

მთავრობის ყოველწლიურ ანგარიშებთან ერთად, რაც ზოგიერთ სახელმწიფოში უკვე ხორციელდება.

გარდა ამისა, მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს მნიშვნელოვან ურთიერთქმედებაზე, რომელიც შეიძლება არსებობდეს ან ჩამოყალიბდეს აღსრულების კუთხით თანამშრომლობის პროგრამებს შორის. მათ ხაზი გაუსვეს მნიშვნელოვან როლს, რომელიც მკაფიო და დამაჯერებელმა სამოქმედო გეგმამ შეიძლება შეასრულოს ამ კონტექსტში, რათა ხელი შეუწყოს მთავრობის მიერ იდენტიფიცირებულ ღონისძიებათა განხორციელებას, მათ შორის, კომპლექსური საკითხების არსებობისას – თვით სამოქმედო გეგმის მომზადებას, ვინაიდან თანამშრომლობის პროგრამები მთავრობებს ეხმარება გამოცდილებითა და მრავალფერვანი რჩევებით; აღნიშნული მათ შესაძლებლობას მისცემს უკეთ გამოიყენონ შეფასების ეროვნული ფარგლები, რომლებიც მათ გაჩნიათ ღონისძიებათა შერჩევის თვალსაზრისით.

და ბოლოს, მრგვალმა მაგიდამ ცხადყო, რომ მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2008)2 რეკომენდაციის (რეკომენდაცია წევრ სახელმწიფოებს, ეროვნულ დონეზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა სწრაფი აღსრულების მიზნით, ეფექტური საშუალებების შექმნის შესახებ) განხორციელება და გაძლიერება განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა გახდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების გაუმჯობესების შესახებ მომავალი მსჯელობის ფარგლებში.